ლანდშაფტი როგორც საქალაქო გარემოს დიზაინის მნიშვნელოვანი კომპონენტი (მუშტაიდის ბაღის მაგალითზე)

2018 წელი

ურბანული გარემოს დიზაინი ხასიათდება, ქალაქებისა და დასახლებული ადგილების ფიზიკური თვისებების შემუშავებისა და ჩამოყალიბების პროცესებით. ის აკავშრებს ხალხსა და ტერიტორიებს ერთმანეთთან, ასევე ქმნის დამოკიდებულებებს მოძრაობასა და გარემოს ფორმებს შორის და ცდილობს შექმნას ოქროს შუალედი შენობებსა და გარემოს შერწყმასთან მიმართებაში.

ურბანული დიზაინის შემადგენელი კომპონენტებია :

შენობები

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები

ქუჩები

ტრანსპორტი

ლანდშაფტი

ლანდშაფტი არის ქალაქის მწვანე ნაწილი, რომელიც აყალიბებს მთელ ქალაქს - ურბანული პარკების, ქუჩის ხეების, მცენარეების, ყვავილებისა და წყლის სახით.

თბილისს წარსული დროიდან ახასიათებს მებაღეობის კულტურა და ხალხშიც ოდითგანვე ჩასახულია სკვერებისა თუ პარკებისადმი სიყვარული, მაგრამ სამწუხაროდ მცენარეებით სავსე კეთილმოწყობილი სკვერები და ბაღები არცთუ ბევრი შემოგვრჩა: ვაკის პარკი, მუშტაიდის ბაღი, მზიური, მთაწმინდის პარკი, ბოტანიკური ბაღი და სხვა პატარ-პატარა სკვერები.



დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს ადგილს "მუშტაიდის ბაღი" წარმოადგენს. ის 1830-იან წლებში ირანიდან გამოქცეულმა მირ ფეთეაღა სეიდ თავრიზიმ შექმნა, რომელიც ირანის აზერბაიჯანში შიიტების რელიგიური ლიდერი - მუჯთაჰიდი იყო. გადმოცემით, მუჯთაჰიდმა დასასახლებლად თბილისი ქართველი ცოლის გამო აირჩია, რომელიც ადრე გარდაიცვალა და ამავე ბაღშია დაკრძალული.

1853 წლიდან ბაღი სახაზინო საკუთრება გახდა. ბაღში მრავალი გასართობი და თავშესაქცევი იყო: რესტორანი, ბუფეტი, პავილიონი, საზაფხულო თეატრი. "მუშტაიდში" ხშირად ეწყობოდა გამოფენები, იწვევდნენ სტუმრებს, სწორედ აქედან აუშვეს ამიერკავკასიაში პირველი საჰაერო ბურთი 1882 წელს. ხოლო 1887 წელს ბუნებისმეტყველის, ნიკოლოზ შავროვის თაოსნობით ბაღის ტერიტორიაზე დაარსდა კავკასიის სააბრეშუმო სადგური.



“მუშტაიდის” ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა ასევე რელიქტური ხის, ძელქვის კორომი და ფრანგული კარუსილი, რომელიც 1905 წელს, ხისგან დაამზადეს, იგი დღეს სამუზეუმო ექსპონატის სტატუსს ატარებს.
ბაღში ათეულ ათასობით უნიკალური მცენარეთა ჯიშია გაშენებული, აქ არის როგორც ფოთლოვანი და წიწვოვანი, ასევე მრავალი ყვავილისა და ვაზის ჯიშების სახეობანი.

1935 წელს მუშტაიდის ბაღში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.



ისტორიაზე დაკვირვებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაღი მოიაზრებოდა საკმაოდ დატვირთულ და ერთ-ერთ მნიშნელოვან ცოცხალ ორგანიზმად თბილისისთვის, ბევრ ხმაურიან მნიშნელოვან მოვლენას ეძლეოდა გასაქანი "მუშტაიდის ბაღის" ტერიტორიაზე.

ბაღის ისტორიის მოსმენის შემდეგ გვიჩნდება სურვილი, რომ დღევანდელობაშიც, ისევე როგორც წარსულში, ის გვეხატებოდეს საინტერესო და ლამაზ ადგილად ქალაქის ულამაზეს უბანში, რომელიც თანამედროვეობას ფეხს აუდგამს და ახალ სივრცეებს შექმნის დღევანდელი არტისტებისა თუ ხელოვანების წარმოსაჩენად, თავისი საგნობრივი შემავსებელი ელემენტებით იქცევა პლასტიკური ხელოვნების უჩვეულო ნიმუშად, გამოაფხიზლებს მაყურებელთა წარმოსახვას და „ჩაითრევს“ მათ მოულოდნელ, საინტერესო სიტუაციებში.